№ 171. 14 აგვისტო, ხუთშაბათი. 1866—1880 14 აგვისტო, ხუთშაბათი. № 171.

რედაქცია
[illegible] № 2.
ხელის-მოწერა
მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარე ქალაქებისთვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“—„Иверія“
„დროება“—„ივერიის“ ფასი
| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით სტრიქონზე 1 კაპ., წვეულებრივის ასოებით ... სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვეულებრივის ასოთი ასოზე შემოთხვევა კაპ.
—თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

1 აგვისტოდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ადგილ-მამულის დავები

ტფილისი, 13 აგვისტოს.

ქვეშოთ, ახალ ამბებში, სხვათა-შორის წაიკითხავთ მოკლე ცნობას სამწუხარო გარემოებაზედ, რომელიც ამ დღეებში მოხდა ქართლში: ერთს თავადს—მსტატე მუხრანსკის მოუკლავს მეორე თ. მუხრანსკივე ზიგო ადგილ-მამულის დავის გამოისობით.

პირველი არ არის ჩვენში ამ გვარი კაცის-კვლა, მიწა წყლის დავების მიზეზით და სამწუხაროთ არც უკანასკნელი იქნება, თუ ამ მიწა წყლის საქმეს დროზედ არა ეშველა-რა. ამ დღეებში რუსეთში გადაასახლეს ერთი თ. მაჩაბელი, რომელიც ამ გვარსავე შემთხვევაში იქამდინ იყო მიყვანილი, რომ ორი თავის ბიძა-შვილი მოკლა. ყველას ეხსომება ის საშინელი შეტაკება, რომელიც ამ ორი სამი წლის წინათ მოხდა შორაპნის მაზრაში ერთ სოფლის გლეხებსა და აზნაურებს შუა მიწის თაობაზედ. ყველას ეხსომება აგრეთვე ის არეულობა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ მოხდა სამეგრელოში, როდესაც სამხედრო ძალა იყო ხმარებული და რამდენიმე კაცი მოიკლა.

მაგრამ ყველა ამ გვარი შემთხვევები და მაგალითები ძნელად ჩამოსათვლელია.

შესანიშნავია ეს გარემოება: გულკეთილი, უხვი და პურადი ქართველი კაცი, რომელიც თავის ნათესავ-მოყვარისთვის სულსაც არ დაზოგავს, ეს ქართველი ცეცხლივით აენთება და მზათ არის თავი შეაკლას ან მოჰკლას ყველა, თუნდაც ძმა იყოს, თუნდაც თვით მამა, თუ კი ის ადგილში, მამულში, მიწა-წყალში შეეცილა.

რა არის ამის მიზეზი? რისგან არის ეს? რატომ მხეცდება ასე ქართველი კაცი, რატომ ჰკარგავს ის ყოველ კაცობრიულ გრძნობასა და გონებას, როდესაც საქმე ადგილ-მამულის დავაზედ მივარდება?

უმთავრესი მიზეზი ამისი, უეჭველია, ის უნდა იყოს რომ ქართველის ცხოვრება, თვით არსებობა მიწაზედ, მამულზედ არის დამოკიდებული; უადგილ-მამულოთ, უმიწაწყლოთ იმას თავის-თავი კაცად აღარ მიაჩნია. ამ პირდაპირ მატერიალურ ინტერესს გარდა აქ თავ-მოყვარეობასაც აქვს ადგილი: „—მამა-პაპეული მამული და მიწა-წყალი წამართვას ვინმემ—რაღათ ვარგვარ, კაცი აღარ ვყოფილვარო!“ ამბობს ქართველი და თავის სისხლითა და ხრმლით იცავს ამ მიწა-წყალს.

ამას გარდა სხვა მიზეზებიც არის ამ გარემოების ასახსნელად, რომ ადგილ-მამულის დავების გამო, ასე ხშირად ხდება ჩვენში ჩხუბი-დავიდარაბა და სისხლის ღვრა. მაგრამ ამათ ნუ გამოუდგებით ახლა; საქმე ამაში კი არ არის, საქმე იმაშია, თუ რა საშუალებით შეიძლება და მოხერხდება ამ სამწუხარო მოვლენის მოსპობა.

ჩვენის აზრით, ერთად-ერთი და საუკეთესო საშუალება არის საქართველოს ადგილ-მამულების გამიჯვნის დაჩქარება. როდესაც ყველას ეცოდინება თავის უძრავი ქონების სამზღვრები, როდესაც ყველას კანონიერი საბუთი და დამტკიცება ექნება თავის ადგილ-მამულის მფლობელობისა, მაშინ ამ გვარი დავები, თუ სრულებით არ მოისპობა, დიდათ შემცირდება მაინცა და წამ-და-უწუმ აღარ გავიგონებთ იმისთანა საზიზღარ ამბებს, რომ ერთის მტკაველის მიწისათვის პატიოსან და ბრწყინვალე თავადიშვილმა მეორე ამ გვარივე პატიოსანი და ბრწყინვალე თავადი აკუწა ხანჯლითაო ანუ თავად-აზნაურები და გლეხები დაერიენ ერთმანეთს და ადამიანის სისხლი ისე იღვროდა, როგორც საყასბოში ძროხისაო! მაშინ უბრალო დავების ატეხას ვეღარავინ გაბედავს, ყველას ეცოდინება, რომ სასამართლო გაამტყუნებს და ხარჯს გარდაიხდის. მაშინ, ერთის სიტყვით, მოისპობა თვით მიზეზიც დავებისა და ჩამოვარდება კეთილი განწყობილობა, კარგი მეზობლობა და მოყვრობა ახლანდელ მოდავეებსა და მოქიშპეებს შუა.

დიდხანს ვერ მოვესწრობით ჩვენ ამ ნეტარ დროს, თუ ჩვენი მხრის გამიჯვნის საქმე ისე ნელა და ზოზინით წავიდა, როგორც დღემდინ მიდის; ამ დრომდინ შეიძლება ორმოცდა-ათმა, სამოც-და-ათმა წელმაც გაიაროს და ამ ხნის განმავალობაში ვინ იცის—რამდენი კაცი წახდება, დაიღუპება მიწა-წყლის დაუბოლოებელ დავების წყალობით.

ამის გამო ურიგო არ იქნება, ჩვენმა თავად-აზნაურობამ ერთხელ კიდევ გაიმეოროს უმაღლესის მთავრობის წინაშე თხოვნა და შუამდგომლობა, რომ, რამდენათაც შესაძლებელი იქნეს, დაუჩქარონ ჩვენი მხრის ადგილ-მამულთა და ტყე-ველთა გამიჯვნას. ჩვენის აზრით, დღეს რომ ფულით შემწეობა მისცენ მამულის მეპატრონეებმა ხაზინას და დააჩქარებინონ იმათი მამულების გამიჯვნა ეს უფრო სასარგებლო იქნება ამ მემამულეთათვის, ვიდრემ ოცის და ორმოცის წლის შემდეგ მუქთად გამიჯვნა. ეს კარგათ ესმისთ ჩვენ მემამულეებსა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი ამათგანი არ დაზოგავს ფულს, ოღონდ კი მთავრობამ ერთხელ-და-სამუდამოთ გაათავისუფლოს ის ამ დაუსრულებელ სამიწა-წყლო დავებისაგან...

# ფელეტონი

—

## ჩვენებური.

### საქართველოს გერბი.

ამ ზამთარში, კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტმა დაიბარა ყაზანის უნივერსიტეტიდამ ვახუშტის ხელით შედგენილი საქართველოს კარტა. ეს კარტა, ანუ უფრო ნამდვილათ რომ ვსთქვათ, ატლასი, რადგანაც, ის წინა პირველათ, ყოფილა შემდგარი 8 თაბახიდამ, რომელთაგან ეხლა ოთხ თაბახ ნახევარი-ღა დარჩენილა, არ ვიცით ნამდვილათ საიდამ უშოვნია ყაზანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ზოგი ამბობს, ეს კარტა პოტემკინის ბიბლიოთეკიდამ ერგო უნივერსიტეტსაო, მაგრამ თითონ კარტიდამ არა სჩანსრა. უეჭველია, ბოლოს ფურცლებზე იქნებოდა წარწერა, მაგრამ ეს ფურცლები არავინ იცის სად არის.

ეს ატლასი დროებით იყო გამოგზანილი თბილისში. ყველამ დიდის სიამოვნებით ვნახეთ ის, ყველას ჩვენგანს მოჰგვარა იმან პატრიოტიული ნერწყვი და კიდევ ერთ ჯერ მოვიგონეთ ჩვენი დიდებული წარსული... მაგრამ ამ მოგონებით აწ-მყოს კი არავითარი ნუგეში არ მიეცა. ქართულ საზოგადოების რჩეულთა, რომელთაც ნახეს ატლასი ბევრი ატრიალეს ის, ბევრი ათვალიერეს, ბევრი იძახეს: „რა მშვენიერია“, „რამდენი შრომა ვაუწევია“, „რამდენი ცოდნა ჰქონიაო“, და ხელში სიგარით, გააბეს ამ ატლასზე დარბაისლური, ბრძნული ქართული მუსაიფი... მაგრამ არავის თავში არ მოუვიდა გადაეღებინებინათ ეს ატლასი და რამდენიმე ათი ეგზემპლიარი მაინც გაევრცელებინათ საქართველოში. რომ გეკითხა, ყველას ესმოდა ამ ატლასის დიდი მნიშვნელობა, ყველას უნდოდა თავის კაბინეტის გასამშვენიერებლად ჰქონოდა ამისი პირი. ბევრს შეეძლო ერთი სიტყვა ეთქვა და იქვე, იმავე წამს, მოეკრიფა 30-40 თუმანი, რომელიც საჭირო იყო ამ ატლასის ლიტოგრაფიით გადაღებისთვის; მაგრამ... ყველამ ქებული სიფრთხილე და სიჩუმე არჩია ჩვენში ნაძრახ საქმეს.... ატლასი იყო ჩვენში სამიოდე თვე და ისევ უკან გაგზავნეს რუსეთში...

ნეტარ-ხსენებულმა ვახუშტმა, რომელსაც კლიომ უსაყვედურა ამ ნაირი ქართველების დაუდევნელობა სთქვა, თურმე:

„მე რა მეთქმის; იგი ქვეყანასა შინა იყო და ქვეყანამან იგი ვერ იცნო“ და მიუბრუნდა თავის დაუსრულებელ ფიქრს საქართველოზე...

* * *

ამ ატლასის თავზე აწერია: „ენითა ლათინთათა საკუთარი სახელი ამისი ტაბულა და კარტა ანუ ატლასი, ხოლო ქართულად რუკა“. ოკრუგის შტაბმა გადაალებინა ამ ატლასიდამ ხუთი თუ ექვსი ფოტოგრაფია, რომელთაგან ერთი მაქვს მე.

ამ ატლასში, რომლისთვისაც მართლა რომ გასაკვირველი შრომა და გულს მოდგინება დაუხარჯავს ავტორს არის, კარტებს გარდა, **თბილისის პლანი**, რომელიც გამოსცა სტატისტიკურ კომიტეტმა და **საქართველოს გერბი და დროშები** რომლებზედაც მინდა მე ლაპარაკი ამ ფელტონში.

* * *

პირველს რუკაზე ვილაპარაკოთ ვახუშტურათ, რომელიც წარმოადგენს კავკასიის აქეთა მხარეს, არის დახატული თოთხმეტი გერბი საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებისა. სამწუხაროთ, ფოტოგრაფიაში შავს გარდა სხვა ფერი არ აჩნდება-რა, ამიტომ მე არ შემიძლია აქ მოვიყვანო არც ველის ფონები, არც ის სხვა და სხვა ფერი, რომლითაც არის შეღებული გერბზე გამოსახული საგნები, რადგანაც ამას ვწერ ფოტოგრაფიული პირიდამ. მოგვყავს რიგზე ამ გერბთ აღწერა:

*

## ახალი ამბები

—

რამდენიმე ჯერ ვიყავით ჩვენ მოწმეთ ჩხუბისა, რომელიც ხშირად ხდება ხოლმე ერევნის მაედანზე, პოლიციის პირ-და-პირ დიდ აუზთან. აქაური მუშები და განსაკუთრებით სოფლიდამ ჩამოსული მეურმეები და გლეხები მიდიან აუზთან წყლის დასალევად ამ გაგანება სიცხეში, აქ უხდება პოლიციის და ცეცხლის მქრობ კამანდის სალდათები და ცემა-ტყეპით ისტუმრებს ხალხს, ნებას არ აძლევენ, რომ ერთი პეშვი წყალი დალიონ.

გასაკვირველია, ღმერთმანი: აუზი ქალაქს ეკუთვნის, ვინ მისცა იმის დასაკუთრების უფლება პოლიციას ან ცეცხლის მქრობ კამანდას. მაგრამ ამათი საკუთრებაც რომ იყოს; ამ სიცხეში კაცი ვისმეს წყლის სმას დაუჭერს!..

* * *

12 ამ თვეს ჩვენ გვქონდა შემთხვევა დავსწრებივყავით კონცერტზედ, რომელიც იყო გამართული საზაფხულო თეატრში და რომელშიაც მიიღო მონაწილეობა ბ. ქორიძემ. პირველსავე იმის გამოსვლაზედ საზოგადოება დაუხვდა ხან-გრძლივი ტაშის-კვრით, რომელიც რამდენიმე ხანი არტისტს ნებას არ აძლევდა დაეწყო სიმღერა. როცა ტაშის-კვრა შესწყდა, დაიწყო ბ. ქორიძემ სიმღერა, იმისმა მაღალმა და სასიამოვნო ხმამ ისე შეიპყრა მთელი საზოგადოება, რომ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ბ. ქორიძემ გაათავა სიმღერა, მაგრამ საზოგადოება ისევ გატაცებული იყო მომღერალის ხმის მიმზიდველობით და რამდენიმე სეკუნდის სიჩუმით ყოფნის შემდეგ, ერთბაშათ გაცხარებული საერთო ტაშის-კვრა შეიქნა. კონცერტანტი რამდენჯერმე გამოიყვანეს *bis*-ის ყვირილით. ბ. ქორიძემ გამეორების მაგივრად იმღერა ჩვენი საზოგადოების საყვარელი სიმღერა: „ორი გრენადერი", რომლის გათავებაზედაც, უფრო ცხარი ტაშისკვრა ასტყდა.

ამ საღამოს ბ. ქორიძე სამჯერ გამოვიდა და სამჯერვე საზოგადოებისაგან იყო მიღებული გატაცებულის ტაშის-კვრით და ბრავოს ძახილით.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ შემდეგ სამწუხარო ამბავს:

ამ სამი-ოთხი დღის წინათ ქსნის ნაპირას მინავალია თ. ესტატე მუხრანსკი. ამ დროს იმას შემხვედრია გზაზედ ცხენით თ. გიორგი მუხრანსკი, რომელთაც რაღაც ადგილის თაობაზედ დავა ჰქონიათ. ჯერ რაღაც ლაპარაკი მოსვლიათ, მერე თ. გიორგის ჩამოუღია ცხენიდამ თავის მოპირ-და-პირე დაუცია ძირს და ორჯერ უსვრია რევოლვერი; თავში დაჭრილი თ. ესტატე წამომხტარა ზეზე, გასხლტომია ხელიდამ და გაქცევა დაუპირებია; მაგრამ ამ დროს თ. გიორგის ერთი ტყვიაც მიუყოლებია ზურგში და იქვე წაუქცევია.

ამბობენ, თ. ესტატე მუხრანსკი ისეთ ნაირად არის დაჭრილიო, რომ იმის მორჩენა ძნელიაო; ზოგნი ამბობენ, კიდეც მოკვდაო.

ამ საქმის თაობაზედ გამოძიება არის დანიშნული.

* * *

ამბობენ, რომ ახლად-დანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ მ. ტ. ლორის-მელიქოვს ამთვის ხუთმეტისათვის მოელიან ჩვენს ქალაქშიო; მოხუცებულის დედის სანახავად მოდის ცოტა ხნობითაო.

* * *

ქიზიყიდამ გვწერენ, რომ წელს იქითკენ ყველგან კარგი მოსავალი მოვიდა პურისაო; ცოტა ფეტვები იყო სუსტიო სიცხეების გამო, მაგრამ გავლილ თვის დამლევს წვიმა მოვიდა და ესეც გამოაკეთაო.

ღვინოს წელს აქეთკენ შარშანდელზე ნაკლებს მოელიან; მაგრამ რაც იქნება, ღირსებით შარშანდელს ემჯობინებაო.

რადგან ხალხი კალოებზედ არის გასული, ამის გამო სიღნაღში თითქმის სრულიად დავარდა ვაჭრობაო. „სხედან დილით საღამომდინ ვაჭრები, მუშტარს ვერსაით ხედვენ, შეჰყურებენ გაყვითლებულ კიტრებს და თვითონ ბოლმით უარესად ყვითლდებიანო .."

* * *

ახალციხიდამ ერთ სომხურ გაზეთში იწერებიან, რომ აჭარის მაზრიდამ გადასახლებულები ამ ჟამად თითქმის ყველა ისევ უკან ბრუნდებიანო. მიზეზი ამისა ის არისო, რომ ოსმალოს მთავრობამ არ მისცა ამათ დასასახლებელად ადგილიო.

* * *

ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტის მთავრობა აცხადებს, რომ ეგზამენები ამ ინსტიტუტში და იმასთან გამართულ საქალაქო სასწავლებელში ამ აგვისტოს 28-დამ დაიწყებაო.

* * *

გაზეთს „კავკაზში" იწერებიან შუშიდამ, რომ ეს ორი თვეა, რაც აქ იმყოფებაო თფილისელი ფოტოგრაფი ა. როინოვი, რომელიც მომავალ არხეოლოგიურ კრებისათვის იღებს სურათებსო სხვა-და-სხვა შესანიშნავ შენობებისას შუშაში და იმის გარშემოვო. ამას გარდა ბ. როინოვს მოეგროვებია შუშაში რამდენიმე ისტორიული სიგელები და დოკუმენტები ქართულს ენაზედ და აგრეთვე ძველი ქართული მანათები.

—

**გასწორება** „დროების" № 170-ში მეოთხე გვერდზე, მესამე სვეტის მეთორმეტე და მეცამეტე სტრიქონებში სიტყვა გზების მეტია, მის მაგიერ უნდა იყოს. **გარეშე საქმეების და სამინისტროს თავმჯდომარეს ფრეისინეს...**

## „დროების" კორრესპონდენცია

**ქუთაისი**, 6 აგვისტოს. მომავალ სეკტემბრის თვეში იმერეთის ეპარხიაში იქნება ბლაღოჩინების ქენჭით ალრჩევა; ამის შესახებ მიწერილობაც მალე გაიგზავნება ბლაღოჩინებთან. ამბობენ, მიწერილობაში მოხსენებულიაო, რომ კენჭის-ყრის დროს თვითონ ადგილობითი ბლაღოჩინები იქნებიან თავმჯდომარეთო.

ეს წინ-და-წინ გამოცხადება ძალიან კარგია ბლაღოჩინებისთვის, რადგან მათ დროით შეეძლებათ, თადარიგს შეუდგნენ. ეხლა უნდა წარმოიდგინოთ ზოგიერთი ბლაღოჩინების მოქცევა: ისე მოეპყრობიან თავიანთ მღვდლებს, როგორც ამათ იამებათ; რომელ მღვდელსაც რამე შეცოდება ჰქონდა; ყველას მიუტევებენ და ან რა გზა აქვთ, რომ არ მიუტევონ, ხომ ჩაუგდეს შავში! ეხლავე გაუშვებენ ბლაღოჩინები თავის მომხრე მღვდლებს აზრის შესაკრებლად, თუ რომელ მღვდელს ვინ სურს. არც თვითონ ჩერდებიან უსაქმოდ: ზოგს მღვდელს ბედენიკზე წარდგენას პირდებიან ეპისკოპოსთან, ზოგს კამელავკაზე და სკუფიაზე და მთავრებს—მღვდლათ კურთხევას.

ეხლა გამოიჩენენ ბალოჩინები გულ-უხვობას და პატივისცემას მღვდლებისადმი: შეიძლება ბევრი ჭრელი ძროხები დაიკლას. ალმორჩევამდის მღვდლების ყურ-მოჭრილი მონები შეიქნებიან და ალმორჩევის შემდეგ კი საქმე ისევ თავის რიგზე წავა...

მაგრამ გასაკვირველია, რათ სწუხდებიან ასე ეს სულიერი მამები, როდესაც, როგორც ისინი ყველას არწმუნებენ, კაპეიკი შემოსავალი არა გვაქვსთ საბლაღოჩინოდამო გეტყვიან, შემოსავალი, მართალია, არაფერი გვაქვს, მაგრამ, ერთი, რომ ჩინს მივიღებთ და მეორე, უფრო პატივი გვექნება საზოგადოებისგანო. საუბედუროთ, ბლაღოჩინებს ამასთანავე

---

**აბხაზეთი.** გერბზე გამოსახულია თხა, რომელსაც მარჯვენა წინა ფეხი მაღლა აუღია და უნდა წინ გადადგას. თავზე აქვს ორი ვებერთელა რქა, რომელს ზემოთ ფონზე არის ამოსახული სამი ახალი მთვარე.

*

**გურია.** ერთი პატარა შველი, რომელსაც მარჯვენა წინა ფეხი მაღლა უჭირავს, თითქო გველს უკბენიაო. ზემოთ ფონზე გამობრჭყინავს ერთი დიდი ვარსკვლავი.

*

**ოდიში.** ერთი უშვილებელი ტახი, უზარ-მაზარი ეშვებით. წინა ფეხებით უჭირავს ბაირაღი, რომელზედაც გამოსახულია თეთრი მტრედი და ვარსკვლავები.

*

**იმერეთი.** პავლე მოციქულის ირემი, რომელსაც რქებს შუა აქვს ჯვარი. რქას ზემოთ სამეფო გვირგვინი და ფონზე ახალი მთვარე.

*

**საქართველო.** წმიდა გიორგი თეთრ ცხენზე. ცხენის ფეხებ ქვეშ ლეგენდარული დრაკონი, რომლის პირში ჩაუთხრია წმიდა გიორგს ისარი; ისარი გასულა მეორე მხრით და ჩაფლულა მიწაში. წმიდა გიორგის ზემოთ უხილავი არსების მარჯვენას უჭირავს ერთი რაღაც გვირგვინის მსგავსი საგანი.

*

**სამეფო კვართიან დავითიანი საქართველოში.** ეს ბეჭედი ყველას უნახავს ჩვენში: ძველებურ ქართულ წიგნებში, თუ შენობაებზე. ამ კარტაზე ამ ნაირათ არის ის გამოხატული. გამოხატულია ერთი გრძელი ფიცარი, რომლის ზემო ნახევარი უჭირავს სამეფო კვართს; ქვემო ნახევარი გაყოფილია, ჯვრით, ოთხად. ზემო განყოფილებაზე არის გვირგვინი და დავითის ქნარი (ლირა); ქვემოთ — დავითისავე შურდული და სკიპტრა. ფიცარზე ადგია გვირგვინი და ორი ლომი იცავს ამ საქართველოს ემბლემას.

**შენიშვნა.** ეს გერბი ვერ ეთანხმება იმათ, რომელთაც ძველ წიგნებში ვპოულობთ. თუმცა ფელეტონს გაგვიგრძელებს, მაგრამ მაინც უნდა ვილაპარაკოთ ამ გერბზე. ყველაზე უფრო ლამაზი და ხელოვანი გერბი დავითიან-ბაგრატოვანთა მინახავს მე პარიჟის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. გრძელ ფიცრის მაგიერ ამ ბეჭედზე არის გამოსახული ოთხ-კუთხედი (კვადრატი), რომელსაც ძირს გასამშვენიერებლათ აქვს ცოტა გამოწეული ცხვირი. გარე შემოღუდული ხაზიდამ ერთი ფრჩხილის სიგანეზე შიგნით აქვს მეორე პარალელური ხაზი, რომელთ შუა იმრგვლივ აწერია არშიათ: „მეფიცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი. ნაყოფსაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა." კვადრატის შუაგულზე არის გამოსახული კვართი უფლისა, რომლის გარშემო აწერია: „ქ. კვართი იგი, რომელი იყო უკერველ ზეით გამოქსოვილ ყოვლად." კვადრატი არის გაყოფილი, ჯვარით, ოთხათ: ზემოთ, მარცხნივ, არის დავითის ქნარი და შურდული, მარჯვნით —სკიპტრა, ხმალი და ისეთი სფერა, ზემოდამ ჯვარ-დასმული, რომელსაც აძლევენ მაცხოვარს ეკკლესიურ მხატრობაში და რომელსაც მსოფლიოს უწოდებენ; ქვემოთ, მარცხნივ, არის გამოხატული სასწორი—მართლ-მსაჯულობის ემბლემა, მარჯნივ—წმიდა გიორგი, დრაკონით. ორი უზარმაზარი ლომი, უკანა ფეხებზე შემდგარი, წინა ფეხებით მოხვევიან ამ კვადრატის ზემო კუთხეებს და თავგანწირულნი არიან, რომ არ მიაკარონ არავითარი კაცობრივი ძალა ამ ღერბს. სულ ზემოთ, ღერბზე დაშორებით, ორ ანგელოზთ უპყრიათ დიდი და ძვირფასათ შემკული გვირგვინი. ამ ანგელოზთაც თავისუფალ ხელებში უჭირავთ ხმლები და ლომებთან ერთად იცამენ მეფეთა გვირგვინს.

ბედნიერი ჰაზრი მოსვლია თავში

ფულების შოვნაც აქვსთ სახეში და ვგონებ, ეს უკანასკნელი უფრო.

რაც შეეხება ბლაღოჩინების კანონიერ შემოსავალს წელიწადში, ათასი დიდი საბლაღოჩინო ჰყავდეს, არ აღემატება ას მანეთს და ამიტომ ბევრი ბლაღოჩინი არ კმარობს კანონიერ შემოსავალს. ქრთამს იღებს და ამითი სუქდება...

ზოგს ბლაღოჩინს ადგილ-მამული ძალიან ცოტა აქვს, პრიხოდიც მცირე, მაგრამ ათი და ოცი ათასობით აქვსთ ფული გავალებული. ზოგი პრიჩედნიკათ არიან წინეთ ნამსახურნი და ეხლა ბლაღოჩინობის დროს, ისეთს სახლებს აშენებენ, ან ყიდულობენ, რომელიც მათ რამდენიმე ასი თუმანი უჯდებათ.

ბევრი რამ თქმულა გაზეთებში ბლაღოჩინების უკანონო მოქცევაზე და ბევრიც ითქმება, მაგრამ სანამ მახლობელი სასულიერო მთავრობა ირ მიაქცევს ყურადღებას, მანამ ეს ბლაღოჩინების უკანონო მოქცევა ისევ დარჩება.

მღვდლები ვერ გაუბედვენ იმათ გაშავებას, ათასი ტყავიც აძრონ იმათ ბლაღოჩინებმა. ერთის შეხედვით ეპისკოპოსები ხელსაც უწყობენ ბლაღოჩინებს, რომ ისინი მღვდლებმა ვერ გამოცვალონ. ეს იქიდამა მტკიცდება, რომ თითონ ბლაღოჩინები, როგორც ზევით ვსთქვი, იქნებიან თავსმჯდომარეთ იმათ ამორჩევის დროს.

წარმოიდგინეთ, რომ ბლაღოჩინი აძლევს მღვდელს კენჭს და ეუბნება, თუ მე გსურვარ იმაში ჩააგდე და თუ ის, აი იმაში. რა ჰქნას საწყალმა მღვდელმა: ერთი მხრით ბლაღოჩინი უცქერის ხელში, აჰა საით ჩააგდოსო, და მეორეს მხრით ბლაღოჩინის მომხრე მღვდლები.

ამ უბედურ მდგომარეობაში მღვდელი ძალა-უნებურათ უთეთრებს კენჭს იმას, თუმც არ სურდა.

ამიტომ ვამბობთ: არას დროს ბლაღოჩინების ამორჩევაზე არ მოხდებაო და იმდენი უწესოება, რამდენიც მოხდება წელს, თუ მართალი გამოდგა ის ხმა, რომ თავსმჯდომარედ ისევ ბლაღოჩინები იქნებიან. ძალიან კარგი იქნება, ყველგან ანუ სადაც შეიძლება, თითონ ეპისკოპოზი და ან მისი ვიკარი დაესწრებოდნენ ბლაღოჩინესის ამორჩევის დროს, და ხეირიანად აუხსნიდენ მღვდლებს ბლაღოჩინების მოვალეობას! კიდევ უკეთესი იქნება, თუ თითონ ბლაღოჩინები სულ არ დაესწრობოდენ კენჭის-ყრაზედ.

მართალია, ბევრი საქმე აქვს ბლაღოჩინს თავის საბლაღოჩინოს შესახებ და სასყიდელი სასულიერო მთავრობისაგან არაფერი, თუმცა პირველი თანაშემწენი არიან ეპისკოპოზებისა. ამიტომაც როცა ეპისკოპოზები რომელსამე მღვდელს ბლაღოჩინობაზე ამორჩევაში ხელს უწყობენ, თითქო ეუბნებიან მათ: „საქმე ბევრი გაქვს და საშრომელს ფასად საბლაღოჩინოში აღებული ქრთამები გეყოფა.“ მახლობელი სასულიერო მთავრობაც დარწმუნებულია, რომ ზოგი ბლაღოჩინები ულმერთოდ იღებენ ქრთამსა, მაგრამ ამის მოსასპობლად ჯერეთ არაფერ საშუალებას არ ხმარობენ.

ერთის სიტყვით, რომ ბოლო მოეღოს ბლაღოჩინების უკანონო მოქცევას საჭიროა ეპისკოპოზებმა მიაქციონ ყურადღება შემდეგს: დაენიშნოს ბლაღოჩენებს თავის შრომისთვის რამე სასყიდელი რომელიმე წყაროდამ, მიაქციონ ყურადღება რომ ყველგან სემინარიელები იყვნენ ამორჩეულნი ბლაღოჩინებად, თუ კი იშოვებიან და ისინიც დიდის გაფრთხილებით; ნუ დაამტკიცებენ ბლაღოჩინებად სობოროში ნამსახურ მედავითნეებს; მიაქციონ ყურადღება ბლაღოჩინების მოქმედებას და უკანონო მოქცევისათვის ფიცხლად დაისაჯონ. ნუ დაენდობიან ეროობ, როდესაც ბლაღოჩინები ადგენენ მათთან ვისმეს ან ჩინზედ და ან საკურთხად.

შ—შლი.

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! მე არ ვეკუთვნი იმ პირთა წრეს, რომლებიც ბევრ ცუდს ლაპარაკობენ ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოთავე პირებზე,—იმ პირთ წრეს, ვამბობ, რომლებიც ისე არიან აღელვებულნი, რომ მართალთაგან ბრალეულთ და კარგთაგან ცუდ პირებს ველარ არჩევენ, ყველას ერთნაირად ლანძღვენ და ბევრს ცუს რასმეს წამებენ; მე დარწმუნებული ვარ, რომ მოხსენებული საზოგადოების კომიტეტის წევრთ შორის არიან ისეთი პირები, რომლებიც ყოველ პატიოსანი ადამიანის მადლობის და პატივ-ცემის ღირსნი არიან ყოველ მხრით: ნიჭით, ცოდნით, ერთგულებით და პატიოსნებითაც; მაგრამ მათ შორის, სამწუხაროდ, ისეთი პირებიც ყოფილან, რომლებსაც, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ფორმისა და სახელის გულისათვის უკისრიათ საზოგადოების კომიტეტის წევრობა და არა მისთვის, რომ მართლა რაიმე გააკეთონ და სინდისიანად აღასრულონ თავსდებულ მოვალეობა.

ეს ჰაზრი წარმომათქმევინა მე ერთმა შემთხვევამ, რომელზედაც ქვემოდ ვილაპარაკებ და რომელიც ცხადათ დაანახვებს მკითხველს ჩემი ჰაზრის სიმართლეს.

ეს შემთხვევა აი რა იყო:

წასრულ წელში წარვუდგინე მე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კომიტეტს ჩემგან შედგენილი მოთხრობები საზოგადო სამოქალაქო ისტორიიდამ და, რადგანაც საკუთარი საშუალება არა მქონდა დამებეჭდა ეს წიგნი, ვსთხოვე მას დაებეჭდა ის საზოგადოების ხარჯით და დახარჯული ფული მიეღო შემდეგ ჩემგან ან ფულადვე და ან წიგნებად.

კომიტეტმა რამდენიმე თვის შემდეგ მიანდო ჩემგან წარდგენილი თხუზულება განსახილავად ერთ თავისს წევრს, სახელდობ თფილისის გიმნაზიაში ისტორიის მასწავლებელს ბ. ვ. მიქელაძეს, რომელსაც, რასაკვირველია, უნდა წაეკითხა ის და წარედგინა თავისი ჰაზრი კომიტეტისათვის.

მაგრამ როგორ მოიქცა ბ. მიქელაძე? ერთი, პირველ ნაწილი ჩემგან შედგენილის თხუზულებისა, ესე იგი, მოთხრობები ძველი ხალხების ცხოვრებიდამ, თვალითაც არ უნახავს მას; მაშა-სადამე ცხადია ვერც წაიკითხავდა, რომ როგორიმე ჰაზრი შეედგინა. სხვა ნაწილები, თუმცა ხელში ქონდა, მაგრამ, ვგონებ, არც ისინი წაუსითხავს, როგორც რიგი იყო. მაგრამ მაინც კიდევ ბ. მიქელაძემ წარუდგინა კომიტეტს რამდენიმე თვის შემდეგ პატარა ნაგლეჯ ქაღალდზე თავისი ხეპრული ჰაზრი მთელი თხუზულების შესახებ. კომიტეტმა გადასწყვიტა ხმების უმეტესობით უარის თქმა ჩემი თხუზულების საზოგადოების ხარჯით დაბეჭვიდს შესახებ.

ეს არაფელი, მაგრამ რა უნდა ვსთქვათ ეხლა იმ წევრზე, რომელმაც კომიტეტს წარუდგინა თავისი ჰაზრი იმ თხუზულებაზე, რომელიც მას არ უნახავს და არ წაუკითხავს სრულებით? შეიძლება ამ გვარ პირს მიანდოს კვლავ საზოგადოებამ რამე საქმე? შეიძლება იმედი ჰქონდეს ვისმეს, რომ ესეთი პირები მოუტანენ რაიმე სარგებლობას, იმ საზოგადოებას, რომელიც ირჩევს იმათ? რა სახელი უნდა დავარქვათ საზოგადოების წევრის ისეთ მოქმედებას, როგორც ბ. მიქელაძე მოიქცა?—ეს სახელ ადვილ მისახვედრია და ამიტომ ამის გამოცნობა თვით მკითხველისათვის მიმინდვია.

მომავალ დროში მე ვსთხოვ ბ. მიქელაძეს თუ ჩემ თხზულებას დაბეჭდვა ეღირსა, მთლად წაიკითხოს და ისე წარმოსთქვას თავისი მსჯელობა და გვიჩვენოს, ოგორც მე,

---

ხელოსანს, რომელმაც ზეცათა ძალთ და ქვეყნის უძლიერესთ ცხოველთ ჩააბარა ამ გერბის მრთლად და უვნებლად დაცვა...

*

**საქართველო.** ერთი ქონდრის მთავარანგელოზი, თეთრი, ძირს გაშლილი ფრთებით. მარჯვენა ხელით უჭირავს ხმალი, მარცხენა ხელი კი ჩაუვლია ქარქაშისთვის. არხისტრატიგს ტანთ აცვია აბჯარი.

*

**კახეთი.** ოქროს ფერი ცხენი (პეგასი). ფრთები აქვს ფაფარის ბოლოსთან, მაღლა აშვერილი. მარჯვენა ფეხით უჭირავს ბაირაღი, რომელზედაც არის გამოხატული ლილია; ზემოთ ფონზე არის დახატული გვირგვინი.

*

**სომხეთი.** ვეფხვი, რომელიც ძირს ჩაწეულა და თავი აუშვერია მის ზემო დახატულ გვირგვინისკენ, თითქო ეთამაშება გვირგვინსო და უნდა პირი მოავლოსო. გვირგვინის ზემოთ არის გამოსახული მზე. წინა ფეხებით ლომს უჭირავს ისარი.

*

**შირვანი.** გარეული თხა; წინა ფეხებით უჭირავს ბაირაღი, რომელზედაც გამოსახულია რაღაც მწერი.

*

**ლეკისა და დაღისტანისა.** სამი მაღალი მთის წვერი შაქრის თავსავით ერთმანეთის გვერდზე აყუდებული; ორ მთას შუა, ნახევრათ, გამომხტარა რაღაც ცხოველი, რომელიც მგელსაც ჰგავს და მელასაც. წინა ფეხებით ამ ცხოველს უჭირავს პატარა ბაირაღი.

*

**სამცხე-საათაბაგო.** მინდორზე გაწოლილი პატარა კრავი, ცოტა მოდიდო რქებით; წინა ფეხებით უჭირავს თეთრი ბაირაღი, რომელზედაც არის გამოსახული ერთი ხმალი და ორი ვარსკვლავი.

*

**ქართლი.** ჯვრათ გადადებული ხმალი და სკიპტრა, რომლებთაც იქით-აქეთ მოსწოლიათ ძროხა და კურო.

*

**სვანეთი.** უშნოთ აწოწვილი მთები, რომლებზედაც თითქო მიუკრავთო ერთი დათვი.

*

**ოსეთი.** მაღალი მთები. ერთი პატარა ვეფხვი გამოსულა მთიდამ და გზას დასდგომია.

*

**რანი.** ჩინებულად დახატული აბლაბუდა. მწერს გაუთავებია ქსოვა და უცდის თავისი მცბიერების მსხვერპლს.

* * *

ორიოდე სიტყვა საქართველოს თავადიშვილების და ერისთავების დროშებზე.

ატლასში აქა-იქ არის გამოხატული შემდეგი რვა დროშა:

**რუსთველის**—მწვანე დროშა.
**ალავერდის**—ყავის ფერი.
**ენისელის**—მოყვითლო.
**ქიზიყის**—თეთრი.
**ზემო-ქართლის**—ყვითელი.
**საციციანოსი**—წითელი.
**მუხრანისა**—მწვანე.
**ბარათიანთა**—თეთრი.

* * *

ნამდვილია თუ არა ზემო მოყვანილი ბეჭდები და ბაირაღები, ამის პასუხის მგებელი იყოს თითონ ვახუშტი... რადგანაც ამ ბეჭდებზე არც ისტორიულ წიგნებში და სტატიებში არის-რა, არც ზეპირ-გადმოცემით გაგონილა-რა, შეიძლება, რომ ვახუშტმა შეადგინა ეს გერბები რუსეთის გუბერნიების ბეჭდების წაბაძვით. რაც უნდა იყოს, როდესაც ამ გერბთ გამკეთებელი არის ისეთი ავტორიტეტი, როგორიც იყო ქართველ ისტორიისთვის და გეოგრაფიისთვის ვახუშტი, მაშინ ამათი გაცნობა უინტერესო არ იქნება...

ი. მეუნარგია.

ისე საზოგადოებას, ჩემგან შედგენილ წიგნის ნაკლულევანებანი, რომლებსაც მე დიდი მადლობით მივიღებ, თუ, რასაკვირველია, ისინი საფუძვლიანი იქნებიან.

წესი მოითხოვდა, რომ როცა ბ. მიქელაძემ წარუდგინა კამიტეტს თავისი უპაზრო ჰაზრი და როცა კამიტეტმა გადასწყვიტა უარის-თქმა ჩემი თხუზულების საზოგადოების ხარჯით დაბეჭვდისა, უნდა ეცნობებიათ ჩემთვის ეს გადაწყვეტილება და თხზულებაც უკან დაებრუნებიათ. მაგრამ არა,—მე ეს საქმე შემთხვევით გავიგე და ორი თვე მეტი ვეწვალე, რომ როგორმე ჩამეგდო ხელში ჩემი თხუზულება, ამის მიზეზი ის იყო, რომ თვითონ კომიტეტმა და საზოგადოებისა სეკრატარმა არ იცოდნენ —სად იყო და ვის ჰქონდა ჩემი თხზულება. ბოლოს, როგორც აღმოჩნდა, მისი ერთი ნახევარი ბ. მიქელაძეს დაეგდო თავის დაკეტილ ოთახში და თვითონ კი საზაფხულოდ წაბრძანებულიყო. მეორე ნახევარის ბედი კიდევ უფრო შესანიშნავია: მას აქეთ, რაც მე ის საზოგადოებას წარვუდგინე, ის, თურმე, ერთ წევრს კომიტეტისას დაედო თავის სტოლზე და არავისთვის არ გადაეცა. როგორც მე, ისე საზოგადოების სეკრეტარს სრულიად დაკარგული გვეგონა ის და იმედიც დავკარგეთ, მაგრამ ბოლოს ეპოვნათ მოხსენებული პირის ოთახში მიგდებული სხვა ქაღალდებთა შორის. ამ გვარად საზოგადოების კამიტეტმა ბრძანა უარი იმ თხუზულების დაბეჭდვის შესახებ; რომელიც თვალით არ უნახავს და მაშასადამე არც განუხილავს!

გთხოვთ ბ. რედაქტორო, ამ ჩემ წერილს ადგილი მისცეთ თქვენ გაზეთში, რადგანაც, ჩემის ფიქრით, ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მხედველობაში იქონიოს მომავალში კომიტეტის წევრების ამორჩევის დროს ზოგიერთი ეხლანდელი წევრების კეთილ სინდისიანობა და ერდგულება, და უფრო რიგიანი პირები ამოირჩიოს.

გ. იოსელიანი.

10-ს აგვისტოს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქაალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმ., ქიუზარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ზაზაევი—ნერვების ავათმ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ზაზოვი გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების ზაზოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ზაზოევი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ზაზაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ზაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

# განცხადებანი

—

**კვირას, 17 აგვისტოს ქ. გორში წარმოსდგება სცენის მოყვარეთაგან ოთხ-მოქმედებიანი ტრაღედია**

# „ქოროღლი“

თხზ. ზ. ანტონოვისა.

(3—1)

---

**ტფილისის ქალაქის სასწავლებლის კომიტეტი** მოიწვევს მასწავლებლობის მსურველთ პირველ-დაწყებითი სკოლის სამს განყოფილებაში და სახელოსნო სასწავლებლის ამდენსავე განყოფილებაში.

მსურველთ თავიანთი სურვილი უნდა განუცხადონ ქალაქის გამგეობის სადგომში ქალაქის სეკრეტარს ყოველ დღე 12 საათიდამ 2-მდე. განყოფილებანი სამად იყოფება: ერთი რუსული, მეორე ქართული, მესამე სომხური, და თითო მათგანში სწავლა დედა-ენაზე უნდა იყოს.

(3—2)

---

**მიიღეთ** დიდ-ძალი **ჩაი** პირ-დაპირ პლანტატორებისაგან—**ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინააღმდეგი წამალი.

(10—2)

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შავ ბარუთ წვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1 მ. 40 კ.

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2-— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები ქაღალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის.

(100—8)

---

შემთხვევით ისყიდება

# ადგილი

რომელზედაც ამ ჟამად ბაღია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარეობს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო კრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

ფასისა და დაწვრილებით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ლიპინსკის, ელისავეტის ქუჩაზე, სახლის № 132.

(10—7)

---

**ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.**

(25—7)

---

# კანტორა

ოდესსის ვაჭრის

# იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელსა.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმამადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრილმალო და კოლონიალურ საქონელს.

---

**მურაბა** გემრიელი, კანფეტების ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში.**

(40—32)

---

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—29)

---

შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი. თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ხლა 2 მაეთად დარს.

(100—25)

---

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—38)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი